

ლაბორატორიისათვის სინჯის აღების პროტოკოლი
გრიპზე ეპიდზედასხედველობისათვის პანდემიური განგაშის მე-5 ფაზაში

შემთხვევათა სტანდარტული განსაზღვრება:

სიმპტომების გამოვლენამდე 7 დღის მანძილზე ყოფნა იმ ქვეყანაში, სადაც WHO-ს მიერ დადასტურებულია გრიპის ახალი ვირუსის A(H1N1)-ის შემთხვევა ადამიანებში და სახეზე ერთერთი ქვემოთ ჩამოთვლილიდან:

გრიპისმაგვარი დაავადების შემთხვევის განსაზღვრება¹: მაღალი ცხელებით (> 38⁰C) ხველებით ან/და ყელის ტკივილით მიმდინარე მწვავე დაავადება და სხვა დიაგნოზის არარსებობა.

მძიმედ მიმდინარე მწვავე რესპირატორული ინფექციის შემთხვევის განსაზღვრება 5 წელზე მეტი ასაკის პირებში:

საშუალო სიმძიმის ან მძიმე ქვედა სასუნთქი გზების დაზიანებით მიმდინარე დაავადება, რომლის დროსაც აღინიშნება:

- ტემპერატურა > 38⁰C და ხველება ან ყელის ტკივილი და ქოშინი ან სუნთქვის გაძნელება;
- ჰოსპიტალიზაციის ჩვენება.

მძიმედ მიმდინარე მწვავე რესპირატორული ინფექციის შემთხვევის განსაზღვრება 5 წლამდე ასაკის პირებში:

ბავშვი, რომელსაც აღინიშნება

- ცხელება > 38⁰C და სუნთქვის გაძნელება (>60 წუთში 0-1 თვემდე ახალშობილისათვის, >50 წუთში 2-11 თვის ასაკის ჩვილებში, >40 წუთში 12-59 თვის ასაკის ბავშვებში)
- და ქვემოთჩამოთვლილიდან სულ მცირე ერთი სიმპტომი მაინც:
- სითხის მიღების ან ძუძუს წოვის შეუძლებლობა;
 - ღუნე ან უგონო მდგომარეობა;
 - განმეორებითი ღებინება;
 - კრუნჩხვები;
 - სუნთქვისას ნესტოების მოძრაობა;
 - სუნთქვისასა გულმკერდის შეზნექვა;
 - ჰოსპიტალიზაციის ჩვენება.

შენიშვნა: ტემპერატურის დოკუმენტირება სავალდებულო არ არის; ცხელების სუბიექტური ანამნეზის თუნდაც ერთი პრეცედენტი წინა სამი დღის განმავლობაში საკმარისია. ჰოსპიტალიზაციის ჩვენება აღნიშნავს მხოლოდ ექიმის შეფასებას და არ მოითხოვს შემდგომში სიტუაციის განვითარების ახსნას.

1) სინჯის აღება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევებიდან, რომელიც პასუხობს შემთხვევათა სტანდარტულ განსაზღვრებას და სიმპტომების დაწყებიდან სინჯის აღებამდე 72 საათზე მეტი არ არის გასული;

¹ რადგან ეს სიმპტომები საერთოა მრავალი დაავადებისათვის, გრიპისმაგვარი დაავადების შემთხვევათა მკვეთრი და უეცარი მატება, ხშირად გრიპის ვირუსს უკავშირდება

სინჯის აღების ტექნიკა:

- საყინულიდან გამოიღეთ კრიოსინჯარა, რომელიც შეიცავს ვირუსის სატრანსპორტო ნიადაგს (1-1.5 მლ; სატრანსპორტო ნიადაგი ნიმუშის აღებამდე უნდა ინახებოდეს -20⁰ C-ზე);
- კრიოსინჯარა მოათავსეთ სატრანსპორტო თერმოსის ერთ-ერთ ჯამში;
- სატრანსპორტო თერმოსის მეორე ჯამში მოათავსეთ გაყინული ფლაკონები ან ყინულის ნაჭრები;
- კრიოსინჯარიანი ჯამი მოათავსეთ ყინულიანი ჯამის თავზე;
- შემთხვევისგან სინჯის აღებაზე თანხმობის შემთხვევაში;
- ამოიღეთ კრიოსინჯარა სატრანსპორტო თერმოსიდან და დანომრეთ ფანქრით;
- დარწმუნდით, რომ კრიოსინჯარის შიგთავსი არაა გაყინული; თუ შიგთავსი გაყინულია მოათბეთ ხელით შიგთავსის გადნობამდე;
- მშრალი პოლიესტერის ბოჭკოვანი დაბოლოების მქონე ერთი აპლიკატორით ნაცხი აიღეთ ნუშურა ჯირკვლებიდან და ხახის წინა ნაწილიდან, ხოლო მეორე აპლიკატორით – ცხვირის ლორწოვანი გარსიდან (ორივე ნესტოდან ნაცხის აღება მოხდება ერთი აპლიკატორით);
- ორივე აპლიკატორი დაუყოვნებლივ მოათავსეთ კრიოსინჯარაში. აპლიკატორის ჯოხი გადატეხეთ და დაახურეთ სინჯარას თავსახური;
- კრიოსინჯარა მაშინვე მოათავსეთ სატრანსპორტო თერმოსის მესამე ჯამში;
- სამუშაო დღის დასასრულს აღებული სინჯები გადაიტანეთ თხევადი აზოტის კონტეინერში, ხოლო უხმარი კრიოსინჯარები დააბრუნეთ საყინულეში.
- თუ თხევადი აზოტის კონტეინერი არ გაქვთ, კრიოსინჯარა შეიძლება შეინახოთ მაცივარში +4⁰ C-ზე; მაცივარში ნიმუშის შენახვა მხოლოდ 3 დღეა დასაშვები, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ უნდა გადაიგზავნოს გრიპის ლაბორატორიაში;
- თხევადი აზოტის კონტეინერში ნიმუში ინახება, ყოველი კვირის პარასკევამდე, როცა დესჯეც-ს მიერ მოხდება მასალისა და თანმხლები დოკუმენტაციის ტრანსპორტირება.

ზედამხედველობას დაქვემდებარებული შემთხვევის შეტყობინების ფორმა №2

სინჯის აღების დასახელება_____

თვე, წელი, _____

| | პაციენტი № | პაციენტი № | პაციენტი № |
|---|---|---|---|
| გვარი, სახელი | | | |
| შემთხვევის მახასიათებელი | ჰოსპიტალიზებული ამბულატორული | ჰოსპიტალიზებული ამბულატორული | ჰოსპიტალიზებული ამბულატორული |
| ასაკი | -----წლის -----თვის | -----წლის -----თვის | -----წლის -----თვის |
| სქესი (შემოხაზეთ) | მამრ. მდედრ. | მამრ. მდედრ. | მამრ. მდედრ. |
| მისამართი | | | |
| დაავადების დაწყების თარიღი | ----რიცხვი-----თვე | ----რიცხვი-----თვე | ----რიცხვი-----თვე |
| სიმპტომები 5 წელზე მეტი ასაკის შემთხვევისთვის (გახაზეთ) | მწვავე დასაწყისი; t>38 ⁰ C; ხველა; ყელის ტკივილი; ქოშინი; სუნთქვის გაძნელება | მწვავე დასაწყისი; t>38 ⁰ C; ხველა; ყელის ტკივილი; ქოშინი; სუნთქვის გაძნელება | მწვავე დასაწყისი; t>38 ⁰ C; ხველა; ყელის ტკივილი; ქოშინი; სუნთქვის გაძნელება |

| | | | |
|--|--|--|--|
| სიმპტომები 5 წელზე ნაკლები ასაკის შემთხვევისთვის (გახაზეთ) | მწვავე დასაწყისი; $t > 38^{\circ}\text{C}$; ტაქიპნოე; ხველა; ყელის ტკივილი; სმის ან ძუძუს წოვის გაძნელება; ღუნე ან უგონო მდგომარეობა; ღებინება; კრუნჩხვები. | მწვავე დასაწყისი; $t > 38^{\circ}\text{C}$; ტაქიპნოე; ხველა; ყელის ტკივილი; სმის ან ძუძუს წოვის გაძნელება; ღუნე ან უგონო მდგომარეობა; ღებინება; კრუნჩხვები. | მწვავე დასაწყისი; $t > 38^{\circ}\text{C}$; ტაქიპნოე; ხველა; ყელის ტკივილი; სმის ან ძუძუს წოვის გაძნელება; ღუნე ან უგონო მდგომარეობა; ღებინება; კრუნჩხვები. |
| მმრდ-ს მქონე ფრინველებთან/ ცხოველებთან კონტაქტი | კი* არა | კი არა | კი არა |
| მმრდ-ს/გრიპის მქონე ადამიანებთან კონტაქტი | კი არა | კი არა | კი არა |
| ჩატარდა რაპიდ- ტესტი | კი არა | კი არა | კი არა |
| ჩატარების თარიღი | ----რიცხვი-----თვე | ----რიცხვი-----თვე | ----რიცხვი-----თვე |
| შედეგი | დადებითია A B | დადებითია A B | დადებითია A B |
| | უარყოფითია A B | უარყოფითია A B | უარყოფითია A B |
| სინჯი აღებულია | კი არა | კი არა | კი არა |
| სინჯის № | | | |
| სინჯი აღების თარიღი | ----რიცხვი-----თვე | ----რიცხვი-----თვე | ----რიცხვი-----თვე |